საჯარო სკოლების ავტორიზაცია საქართველოში

სტატისტიკური ანალიზი

სექტემბერი,2024

www.cciir.ge

შინაარსი

მიგნებები	1
საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის მოკლე აღწერა	3
საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის მიმოხილვა	5

მიგნებები

- საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი მუდმივად იწევს. 2023 წლის ცვლილებებამდე იგეგმებოდა ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაციის პროცესის დასრულება 2026-2027 წლისთვის, თუმცა ვადამ 2030-2031 წლამდე გადაიწია;
- 2023 წლიდან დაიწყო საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი და 2024 წლის 15 სექტემბრამდე ავტორიზებულია 387 სკოლა ანუ სკოლების საერთო რაოდენობის 18,6%;
- ავტორიზებულ საჯარო სკოლებში სწავლობს 194 212 მოსწავლე, რაც საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 34%-ზე მეტს შეადგენს;
- რეგიონალურ ჭრილში ავტორიზებული სკოლების შედარებით მაღალი რაოდენობით გამოირჩევა თბილისი და იმერეთი. შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს რაჭა-ლეჩხუმს, ქვემო ქართლს, სამცხე-ჯავახეთს, აჭარას და გურიას;
- ავტორიზებული საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ხვედრითი წილითაც გამოირჩევა თბილისი, სადაც მოსწავლეთა თითქმის 48% ავტორიზებულ საჯარო სკოლებში სწავლობს, ასევე იმერეთის მოსწავლეთა 44% ავტორიზებულ საჯარო სკოლებში იღებს განათლებას. ხოლო დაბალი მაჩვენებელია ქვემო ქართლში, მოსწავლეთა მხოლოდ 11%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში - მოსწავლეთა 18% და გურიაში - 20%;
- ქალაქებში ავტორიზებული საჯარო სკოლების ხვედრითი წილი მაღალია, ხოლო სოფლებსა და დაბებში დაბალი;

მიგნებები

- თბილისის გარდა მაღალი მაჩვენებელია ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრისით თვითმმართველ ქალაქებშიც, სადაც ერთგვარ გამონაკლის წარმოადგენს რუსთავი, სადაც არსებული 26 სკოლის მხოლოდ 3 სკოლაა ავტორიზებული;
- სკოლის ზომის მიხედვითაც მკვეთრი განსხვავებებია ავტორიზებულ და არაავტორიზებულ საჯარო სკოლებს შორის. 1-205 მოსწავლემდე საჯარო სკოლების მხოლოდ 12%-ია ავტორიზებული, ხოლო 1270 მოსწავლის და მეტი რაოდენობის ზომის სკოლების 53%-მდეა ავტორიზებული;
- მხოლოდ ქართულენოვანი სკოლებია ავტორიზებული. მხოლოდ სამია, რომელთაც გააჩნიათ რუსული, უკრაინული და აზერბაიჯანული სექტორები და ავტორიზებული საჯარო სკოლაა. არცერთი სხვა არაქართულენოვანი სკოლა ავტორიზებული არ არის.

საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის მოკლე აღწერა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიხედვით „ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს აყალიბებენ და ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. მათი განხორციელება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციაა. ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია ავტორიზაცია". საჯარო სკოლების ავტორიზაციამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ხარისხის საბაზისო დონე. რეფორმის კონცეფციის მიხედვით, ავტორიზაციის შედეგები მიმართულია სასკოლო საზოგადოების და თავად საგანმანთლებლო დაწესებულების, სკოლის საჭიროებებზე და გულისხმობს:

- სტანდარტების დადგენას (ზოგადი განათლებისთვის, ეს შეიძლება სტანდარტიზებული იყოს ყველა სკოლისთვის) სკოლის მისიის, ან საჯარო სკოლების შემთხვევაში, მათი ერთობლივი მისიის საფუძველზე;
- დამოუკიდებელ მუშაობას სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებთან, სკოლის აქტივობების და გეგმების განსახილველად დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
- დოკუმენტაციისა და სკოლის ადგილზე შესწავლას (შესაძლოა რესურსცენტრების გამოყენებით და სკოლის საბჭოებთან თანამშრომლობით), რათა მოხდეს ინფორმაციის დაზუსტება პირისპირ მუშობის დროს და უფრო ღრმად იქნას გამოკვლეული სკოლის საქმიანობის გამოწვევები და ძლიერი მხარეები;
- შეფასების დასკვნების საჯაროდ გამოქვეყნებას სამინისტროს, საზოგადოებისა და სკოლის ინფორმირებისთვის იმ ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ ყურადღებას, მუდმივ მონიტორინგს და განმეორებით შეფასებას;
- პროცესის უწყვეტი ნაწილია ინსტიტუციური განვითარების გეგმის შედგენა, რითაც შესაძლებელი გახდება სკოლის სწრაფვა თვითმყოფადობისკენ და მუდმივი განვითარებისაკენ.

საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის მოკლე აღწერა

საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის შედეგად ხდება სკოლების ოთხი მნიშვნელოვანი სტანდარტის შეფასება:

სტანდარტი 1. სკოლის ფილოსოფია - აღნიშნული სტანდარტი საკუთარ თავში აერთიანებს - 1.1. სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს; 1.2. სკოლის დაგეგმვას და განვითარებას;

სტანდარტი 2. სასკოლო კურიკულუმი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, განხორციელებას, მონიტორინგისა და შეფასების, კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესს;

სტანდარტი 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს პერსონალის მართვასა და განვითარებას, ადამიანური რესურსების და პროცესების მართვას, უსაფრთხოებას, ინფრასტრუქტურის, მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო რესურსების მართვას;

სტანდარტი 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა უფლებების დაცვასა და მათ მხარდამჭერი ღონისძიებების ინსტიტუციონალიზაციას.

2023 წლამდე მხოლოდ კერძო სკოლების ავტორიზაციის პროცესი ხორციელდებოდა. საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის დაწყება ჯერ კიდევ 2015 წლიდან იგეგმებოდა, თუმცა, საჯარო სკოლების არასაკმარისი მზაობიდან გამომდინარე, 2023 წელს დაიწყო საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაცია, რომლის დასრულებაც იგეგმებოდა 2026-2027 წლამდე და ავტორიზაციის პროცესში უნდა ჩართულიყო 2086 საჯარო სკოლა, თუმცა, ავტორიზაციის პროცესი გახანგრძლივდა 2030-2031 წლამდე.

საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის მიმოხილვა

2023 წლიდან დაწყებული პროცესი დღემდე მიმდინარეობს და 2024 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით განხორციელდა 387 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პროცესი. ამ ბიულეტენში მიმოვიხილავთ და გავაანალიზებთ ავტორიზაციის პროცესს არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

2024 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით ავტორიზებულია 387 საჯარო სკოლა, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 18,6%-ს შეადგენს. ავტორიზებულ საჯარო სკოლებში სწავლობს 194 212 მოსწავლე, რაც საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 34%-ზე მეტს შეადგენს.

ავტორიზებულ საჯარო სკოლაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა	**194212**
სულ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა	**567808**
ავტორიზებულ საჯარო სკოლათა რაოდენობა	**387**
სულ საჯარო სკოლების რაოდენობა	**2086**

რეგიონების მიხედვით ავტორიზებული სკოლების შედარებით მაღალი რაოდენობით გამოირჩევა თბილისი და იმერეთი. შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს რაჭა-ლეჩხუმს, ქვემო ქართლს, სამცხე-ჯავახეთს, აჭარას და გურიას.



როგორც აღინიშნა ავტორიზებულ სკოლებში სწავლობს მოსწავლეთა 34%-ზე მეტი. შესაბამისად, საინტერესოა, რეგიონების მიხედვით თუ რა შეფარდებაა ავტორიზებულ საჯარო სკოლებში არსებულ მოსწავლეთა რაოდენობასთან. ამ თვალსაზრისით, თბილისი გამოკვეთილი ლიდერია, სადაც მოსწავლეთა თითქმის 48% ავტორიზებულ სკოლებში სწავლობს, ასევე იმერეთის 44%, ხოლო დაბალი მაჩვენებელია ქვემო ქართლში, მოსწავლეთა მხოლოდ 11% და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი -მოსწავლეთა 18% და გურია - 20%.

	მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში	ავტორიზებულ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა
თბილისი	181 342	86799
იმერეთი	74 259	32470
შიდა ქართლი	37 522	14028
აჭარა	59 485	20129
მცხეთა-მთიანეთი	12 307	4133
სამეგრელო-ზემო-სვანეთი	41 748	10031
სამცხე-ჯავახეთი	24 043	5208
კახეთი	45 073	9576
გურია	13 339	2754
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	2 661	513
ქვემო ქართლი	72 218	8571
აფხაზეთი	2 210	0
სულ:	566 207	194212

თბილისის გარდა მაღალი მაჩვენებელია ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრისით თვითმმართველ ქალაქებშიც. ერთგვარ გამონაკლის წარმოადგენს რუსთავი, სადაც არსებული 26 სკოლის მხოლოდ 3 სკოლაა ავტორიზებული.



გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, არსებობს მკვეთრი განსხვავება ავტორიზებულ და არაავტორიზებულ საჯარო სკოლებს შორის. ქალაქებში ავტორიზებული საჯარო სკოლების ხვედრითი წილი მაღალია, ხოლო სოფლებსა და დაბებში დაბალი. ხვედრითი წილის გარდა 387 ავტორიზებულ საჯარო სკოლიდან 166 ქალაქის სკოლაა, რაც ავტორიზებული სკოლების საერთო რაოდენობის 43%-ს შეადგენს, იმ დროს როცა ქალაქის სკოლები საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 24%-ია.



ქალაქის საჯარო სკოლების 33% არის ავტორიზებული, ხოლო სოფლის სკოლების მხოლოდ 13%, დაბის სკოლების კი - 18%.



სკოლის ზომის მიხედვითაც მკვეთრი განსხვავებებია ავტორიზებულ და არაავტორიზებულ საჯარო სკოლებს შორის. 1-205 მოსწავლემდე საჯარო სკოლების მხოლოდ 12%-ია ავტორიზებული, ხოლო 1270 მოსწავლის და მეტი რაოდენობის ზომის სკოლების 53%-მდეა ავტორიზებული.





სწავლების ენის მიხედვით საჯარო სკოლების ავტორიზაციის საკითხს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით მხოლოდ ქართულენოვანი სკოლებია ავტორიზებული. მხოლოდ სამი სკოლაა, რომელთაც გააჩნიათ რუსული, უკრაინული და აზერბაიჯანული სექტორები და ავტორიზებული საჯარო სკოლაა. არცერთი სხვა არაქართულენოვანი სკოლა ავტორიზებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ახალი სკოლის მოდელის საპილოტე ოთხ სხვადასხვა ეტაპზე ჩართული 597 სკოლიდან ავტორიზებულია 183 ანუ საპილოტე სკოლების საერთო რაოდენობის 30%.

ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com